

L'anglais à l'université : le début de la maturité ! ინგლისური უნივერსიტეტში: სიმწიფის დასაწყისი!

ფიორაზოს კანონის მეორე მუხლის გარშემო დებატები, ანუ იმ კანონის შესახებ, რომელიც უმაღლესს განათლებასა და კვლევას ეხება და რომლის საგანი ტუბონის კანონის განახლება იყო, უმაღლესს სკოლაში უცხოური ენების სწავლებას, კერძოდ, ინგლისურ ენას ეხება, ცუდად დაიწყო. ეს დებატები გაუგებრობითა და საპირისპირო აზრის გაზრდით დაიწყო, რომელიც უფრო მეტად მედიის მეშვეობითაა შესამჩნევი. ამ ინტელექტუალურად კარგად გაჯერებულმა დებატებმა მაღალ დონეზე იჩინა თავი როგორც ეროვნულ ასამბლეაზე, ისე სენატში, რომელიც იმით დასრულდა, რომ კენჭი უყარეს 2013 წლის 9 ივლისის კანონს გაუმჯობესებული, სრულყოფილი სახითა და საკანონმდენლო დადგენილებით, რომელიც მისი გამოყენების საშუალებებს შეიცავს. იმის საწინააღმდეგოდ, რასაც ხშირად ამტკიცებდნენ, ტუბონის კანონი არასოდეს არ კრძალავდა უცხოურ ენაზე სწავლებას და კერძოდ, გამონაკლისის სახით ითვალისწინებს მოწვეულ პედაგოგებსა და საერთაშორისო მნიშვნელობის სწავლებას. თუმცა ნათელი დეფინიციის არქონის გამო, რასაც საერთაშორისო სწავლება გულისხმობს: ერთადერთი შემთხვევა, როდესაც ის სწორედ იყო გამოყენებული, ეს იყო სწავლების მეორე დონე, სადაც არსებობს საერთაშორისო განყოფილება და ევროპული განყოფილება, სადაც იწვევენ უცხოელ პედაგოგებს და სადაც ლექციებს უმეტესად ფრანკოფონი პედაგოგები ატარებენ.

უმაღლესს განათლებაში, სიტუაცია უფრო რთულადაა იმის გამო, რომ შესაძლებელია გავიზიაროთ ის აზრი, რომ ყველა საუნივერსიტეტო სწავლება საერთაშორისო მნიშვნელობისაა, ყოველ შემთხვევაში ალბათ უნდა ჰქონდეს ასეთი მოწოდება.

რაც არ უნდა პარადოქსალურად ჩანდეს, მხოლოდ საუნივერსიტეტო სწავლება არ შეიძლება განვიხილოთ როგორც საერთაშორისოდ. საერთაშორისოდ ითვლება მხოლოდ ინგლისურ ენაზე მიღებული განათლება, რომელთა რიცხვი 700. ძირითადად, მაგისტრატურის დონეზე, რომლებშიც ჩართულია უმაღლესი სკოლების გარკვეული რაოდენობა და ზოგიერთი უნივერსიტეტი (ხშირ შემთხვევაში კერძო), რომელშიც გამოვლინდა ინტელექტუალური გრეგარიზმი, რომელიც შესწავლას მოითხოვს. რაც არ უნდა იყოს როგორც ახლახან ეფექტურად აღნიშნა ლომბარდიის ადმინისტრაციულმა სასამართლომ თავის განჩინებაში, რომელიც მილანის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საქმეს ეხებოდა, ერთ ენაზე წარმოებული სწავლება, თუნდაც ინგლისურზე, რომელიც გამორიცხავს ნაციონალური ენის გამოყენებას, არ შეიძლება ჩაითავლოს საერთაშორისო სწავლებად.

მაშასადამე, ზემოაღნიშნული განათლება, რომელიც ინგლისურ ენაზე სრულ კურსს შეესაბამება და რომელიც უკანონოდ ითვლებოდა ტუბონის კანონის მოქმედების დროს, უკანონოდ დარჩება, მეორე მუხლის ინიციატორთა სავალალოდ.

წარმოდგენილი არგუმენტების უსუსურობა, კამპანიის მიუხედავად, რომელიც მეტყველების საკმაოდ კოორდინირებულ ელემენტებს ეფუძნებოდა, იმ კამპანიის დროს, რომელიც ზოგჯერ აგრესიული და სახიფათო იყო, ნელ-ნელა დღის შუქზე გამოვლინდა, და მძიმედ არ აწუხებდა ეროვნულ ასამბლევას, სანამ სენატმა იგი არ გააუქმა.

რა საჭიროა უცხოელი სტუდენტების მიღება, რომლებიც ფრანგულს არ ფლობენ და

მათთვის დიპლომების მიცემა, თუკი ისინი იმაზე უკეთესად არ ფლობენ ფრანგულს, ვიდრე უნივერსიტეტში ჩარიცხვისას. ამით, იმედი შეიძლება გაუცრუვდეთ იმათ, მსოფლიო მასშტაბით, ვინც ფრანკოფონულ გარემოში არ იმყოფება. ათასობით ახალგაზრდა ფრანგულს სწავლობს, რომ საფრანგეთში მიიღოს განათლება. ამგვარად, ენობრივი ბარიერი უფრო სატყუარაა და ხელს არ უშლის უნივერსიტეტების მიმზიდველობას.

გერმანელებმა გაიაზრეს, რომ უცხოელი სტუდენტები, რომლებიც განათლებას გერმანიაში მხოლოდ ინგლისურ ენაზე იღებენ, ვერ შეძლებენ გერმანულ საწარმოებში დასაქმებას და ვერ შეძლებენ გერმანულ საზოგადოებაში ინტეგრირებას.

გერმანელები დათმობაზე წავიდნენ და გერმანული ენის სწავლება იმ კურსებზე შეიტანეს, სადაც სწავლა ინგლისურ ენაზე მიმდინარეობს.

სწორედ საკმაოდ ლოგიკურად და დიდი გამჭრიახობით საფრანგეთის პარლამენტმა გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ უცხოურ ენებზე სწავლება გამართლებული უნდა იქნას „პედაგოგიური აუცილებლობით“ და რომ სწავლების კურსი „მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება მიმდინარეობდეს უცხოურ ენაზე“ და როცა საქმე უცხოელ სტუდენტებს ეხება, რომელთაც არასაკმარისი დონე აქვთ ფრანგულ ენაში, ისინი უნდა დაესწრონ ფრანგული ენის პრაქტიკულ მეცადინეობებს და უნდა მოხდეს მათი ცოდნის დონის შეფასება.

კანონმდებელმა, რომელიც ზრუნავს იმაზე, რომ ახალი კანონი ძალაში შევიდეს, ასევე გაითვალისწინა ის, რომ უფლებამოსილებამ უნდა განსაზღვროს ლექციების თანაფარდობა, რომლებიც უნდა ჩატარდეს ფრანგულად და ყველა სახის კანონდარღვევის შემთხვევაში საკითხის განხილვა უნდა განახორციელოს იმ სამინისტრომ, რომელსაც ფრანგული ენის დაცვა ევალება.

ამიერიდან, კარგი კანონმდებლობა გვექნება ორი ძირითადი მიზეზის გამო.

პირველი იმაში მდგომარეობს, რომ ის ამარტივებს საერთაშორისო ტიპის სწავლების განვითარებას, რომელიც საშუალებას გვაძლევს გავაერთიანოთ სწავლების ერთ კურსში უცხოელი და ფრანკოფონი სტუდენტები, მეორე კი იმაში მდგომარეობს, რომ ის თავად შეიცავს მისი გამოყენების ადმინისტრაციულ ხერხებს.

სწავლების ის კურსები, რომლებიც მხოლოდ ინგლისურ ენაზე მიმდინარეობს, რომელთა კომერციული მოტივაცია აშკარაა, უნდა შეეგუონ სიტუაციას, რომ შეძლონ დიპლომისა და საუნივერსიტეტოს ხარისხის აღიარებით სარგებლობა.

დაბოლოს, უნდა ხაზი გავუსვათ ერთ ფაქტს: სწავლების ენა რჩება ფრანგული. ყველა ფრანკოფონისათვის ყველა კონტინენტზე. ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანია.

ფრანგული ენა დეგრადაციას არ განიცდის, პირიქით, ამ ენამ, თუკი გავითვალისწინებთ აფრიკულ დემოგრაფიულ დინამიკას, ალბათ დიდი განვითარება უნდა მიიღოს მომავალ ათწლეულში.

ეს გეოსტრატეგიული მონაცემია, რომელსაც უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ. ის უნდა გახდეს თავად საფრანგეთისა და ფრანკოფონული ქვეყნების დიპლომატიის ძლიერი ღერძი.

გლობალიზაციის პირობებში ჩვენ გაგავჩნია საშუალებები, რომ მასზე ზემოქმედება მოვახდინოთ იმის მიხედვით, რომლის მნიშვნელობასაც ვხვდებით. ენის თვალსაზრისით, მიმდინარე ძალების გარდაქმნა იმას ითხოვს, რომ ჩვენ ინგლისურის გარშემო მონოლინგვისტურ პერსპექტივაში კი არ ვიმყოფებით, არამედ უფრო ზუსტად იმ პლურლინგვისტურ გარემოში, რომელიც სხვადასხვანაირად გეო-ლინგვისტური არელის მიხედვით შეიძლება შესუსტდეს.

კრისტინ ტრამბლე

ევროპული პლურილინგვიზმის ობსერვატორიის თავმჯდომარე

www.observatoireplurilinguisme.eu